

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება :** გეომორფოლოგია, გეოეკოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** გეოგრაფიის დოქტორი/Ph.D in Geography

**სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი რამინ გობეჯიშვილი

**სპეციალობა:** გეომორფოლოგია/გეოეკოლოგია

**სადოქტორო საკვალიფიკაციო პროგრამის დახასიათება**

ა) **პროგრამის მიზანი:** მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები გეომორფოლოგიის და გეოეკოლოგიის დარგში. გეომორფოლოგია ბოლო ხანებში დიდ ყურადღებას უთმობს ბუნებაში მიმდინარე, ადამიანისათვის საშიშ, გეოდინამიკურ პროცესებს – ღვარცოფებს, მეწყერებს, თოვლის ზვავებს, კლდეზვავებს, მყინვარების პულსაციას, ზღვის სანაპიროების ნგრევას, ეროზიას, მიწისძვრებს და სხვა. გეოდინამიკური პროცესები მყისიერად ცვლიან რელიეფის ტოპოგრაფიას და დიდ ზიანს აყენებენ ნოსფეროს ეკოლოგიურ გარემოს. აქედან გამომდინარე პროგრამის მიზანია მოვამზადოთ მაღალი რანგის სპეციალისტი გეომორფოლოგი და გეოეკოლოგი, რომელიც დაეუფლება რელიეფწარმოქმნელი პროცესების კვლევას, მათ ცვლილების ანალიზს დროსა და სივრცეში გააკეთებს სტიქიური პროცესებისაგან მოსალოდნელი საშიშროების პროგნოზს. რელიეფი ნოსფეროს განვითარების ერთ-ერთი საფუძველია. ბუნებრივია რელიეფის ფორმების კვლევის მაღალი დონე, ხელს შეუწყობს ქვეყნის სხვადასხვა დარგების სწორად დაგეგმვასა და ფუნქციონირებას. მაღალკვალიფიციური გეომორფოლოგი და გეოეკოლოგი უნდა ფლობდეს:

- რელიეფის კვლევის მეთოდებს, ზოგად გეოგრაფიულ და ზოგად გეოლოგიურ მეთოდების შეთანწყობას. რელიეფწარმოქმნელ ფაქტორებს, მათ ანალიზს და სინთეზს.
- თანამედროვე ტექნოლოგიურ პროგრამების – გეოინფორმაციული სისტემების ღრმა ცოდნა. მათი გამოყენება რელიეფის თემატიკურ თუ ზოგად კარტოგრაფირებაში. აეროკოსმოსური მეთოდების ცოდნა და მათი გამოყენება, ახალი სამგანზომილებიანი მოდელების შექმნა და სხვა.
- გეოგრაფიული გარსის მოსალოდნელი ანთროპოგენული ტრანსფორმაციის მიზეზშედეგობრივი კავშირის ანალიზს და მათი ნეგატიური ზეგავლენის პროგნოზს – მიკრო, მეზო და მაკრო მასშტაბებში.

პროგრამის შესრულების პერიოდში დოქტორანტი ინტეგრირებული იქნება უცხოელი სპეციალისტებთან მეცნიერული კვლევის სხვადასხვა მიმართულებით: პროექტებისა და გრანტების შესრულება, სამეცნიერო კონფერენციები, ვორკშოპები, მიზნობრივი სავლე ექსპედიციები.

ბ) **პროგრამის შედეგი:** სადოქტორო პროგრამის შესრულების შემდეგ მივიღებთ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტს, რომელიც შეძლებს დამოუკიდებლად ჩაატაროს გამოკვლევები – სავლე და კამერალურ პირობებში. მოახდინოს უახლესი მეთოდების მიზანდასახულად გამოყენება. შეძლებს რელიეფის და მასში მიმდინარე პროცესების სინთეზს და ანალიზს. მაღალ დონეზე ჩაატაროს რელიეფის და საშიში სტიქიური პროცესების გეოეკოლოგიური შეფასება და ექსპერტიზა. დოქტორანტი მზად იქნება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნას რელიეფის და სტიქიური პროცესების სივრცითი მოდელები, გეოინფორმაციულ სისტემებში მასალების დამუშავება. დოქტორანტი შეძლებს თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში.

დოქტორანტი დაუფლებული იქნება გეოგრაფიული კანონზომიერების და გეოგრაფიული გარსის ცალკეული კომპონენტების კვლევის მეთოდებს. დოქტორს ექნება ჯეროვანი წარმოდგენა გლობალური და რეგიონალური პრობლემების გეოგრაფიულ თავისებურებებზე. განსაკუთრებით კარგად იქნება დაუფლებული მთიანი ქვეყნების გეოგრაფიული კვლევის სპეციფიკაზე.

**გ) დასაქმების სფეროები:**

უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (გეოგრაფიის, გეოლოგიის, გეოფიზიკისა და სხვა პროფილით), ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო ეკოლოგიური, გეოეკოლოგიური და სხვა პროექტები; კერძო კომპანიები (BP, BTC, GPC და სხვა), რომლებსაც აქვთ გარემოსდაცვითი პროგრამები; გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის, განათლების და მეცნიერების, ეკონომიკის, თავდაცვის, საგარეო საქმეთა სამინისტროები; არასამთავრობო ორგანიზაციები, ნაკრძალები, ეროვნული პარკები. მუნიციპალური სამსახური, ტურისტული სააგენტოები, სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციები \_ სკოლები, კოლეჯები, უმაღლესი სასწავლებლები, მუზეუმები და ა.შ.

**პროგრამაზე მიღების წინაპირობები:** მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი გეოგრაფიაში ან მის მომიჯნავე მეცნიერებებში

**სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**

სადოქტორო პროგრამა განხორციელდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტსა და ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტში. (მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ პროგრამას თან ახლავს). მათ განკარგულებაშია პერსონალური კომპიუტერები, ინტერნეტი, პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზები, უახლოესი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა, ელექტრონული რუკები.

**პროგრამაზე გათვალისწინებულია 3 დოქტორანტის მიღება**